№ 145 ივლისი 10, სამშაბ[ათი] 1890 ივლისი 10, სამშაბათი № 145

„Иверія" (ежедневно). КУТАИСЪ 2-й гильд. куп. Беро гр. Пурцхванидзе.

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განცელიარის სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

სოფიო იოსების ასული იოსელიანისა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რათა მობძანდენ 10 ივლისს, დილის ათს საათზედ, ამილახვრის ეკლესიაში, სოლოლაკზე, სადაც გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი, მოსახსენებლად ქრმისა თვისისა იასონ სოფრონის ძის იოსელიანისა.

## ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

### უწმინდესის სინოდის პროექტი სამღვდელოების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობის შესახებ.

დიდი ხანია რუსეთში და ჩვენშიაც საყვედური და საჩივარი გაისმოდა, რომ სამღვდელოება ვერ ასრულებს პირ-ნათლად თავის მოვალეობას, ვერ უწევს იმ სამსახურს მდაბიო ხალხს, რისაც ვალდებულია, საუკეთესო მოწაფენი სასულიერო სემინარიებისა და აკადემიებისა მღვდლობას არ ეტანებიან და მხოლოდ ისინი კისრულობენ ამ თანამდებობას, ვინც სხვა ალაგას, სხვა ხელობაში ვერავითარს ნიჭსა და უნარს ვერ იჩენსო. ბევრი ამ მოვლენის უმთავრეს მიზეზად იმას ასახელებდა, რომ სოფლის მღვდელი ნივთიერად ვერ არის რიგიანად უზრუნველ-ყოფილი და ამისთვისაც უფრთხიან მღვდლობის ხარისხის მიღებასაო. მართლაც, რომელი განათლებული და ჭკუა-გონებით განვითარებული ახალგაზდა იკისრებს იმისთანა თანამდებობას, სადაც მისი თავმოყვარეობა ყოველს ჟამს, ყოველს წამს უნდა შეიბღალოს და დამცირდეს. ვიმეორებთ, რომელი ახალგაზდა იკისრებს, იაროს სოფლი-სოფლად ჩანახითა და კალათით ხორბლისა და კვერცხების მოსაგროვებლად, რომ წლითი-წლობამდე თავი გამოიკვებოს და მშიერი არ მოკვდეს? ამ გვარად მოპოვება ცხოვრების სახსარისა ისეთი დამამცირებელია ახალგაზდის თავმოყვარეობისა, რომ ბევრს მათგანს გაუნელებს სურვილს ხალხის სამსახურისას. აი ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება უწმინდესმა სინოდმა და შეიმუშავა პროექტი სამღვდელოების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობისა. პროექტის აზრით, მღვდელს დაენიშნება წელიწადში 600 მანათი, ბლაღოჩინს 1,200 მან., დეკანოზს 1,500 მან. ეს ჯილდო სრულიად საკმარისია, რომ სამღვდელო კაცი უზრუნველი იყოს ნივთიერად და ერთგულად შეუდგეს თავის წმინდა მოვალეობის ასრულებას. იმას აღარ შეაწუხებს იმის ფიქრი, თუ როგორ მოეკრიფო და მოეაგროვო წლის სარჩო-საბადებელიო, გლეხის თვალშიაც ღირსებით, უფქვეელია, იმატებს, რადგან კარზედ აღარ მიადგება მთავარ-დიაკვნებით ჩანახითა და ტომრებით. ცხადია, რომ, თუ ეს პროექტი უწმინდესის სინოდისა შეწყნარებულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს მიერ, ახალი ხანა დადგება სამღვდელოების ცხოვრებაში. მაშინ ბევრი ყმაწვილი კაცი, რომელიც ეხლა ამ თანამდებობას არა კისრულობს, სიამოვნებით წავა სოფელში, განახლდება და გაუკეთესდება სამღვდელოების წოდება და შესაძლებელია კიდეც, რომ სამღვდელოებამ დაიბრუნოს ძველებური პატივი ხალხისა, როდესაც ხელთ ეპყრა ბაირაღი განათლებისა, ჰმესვეურობდა ერს.

მართალია, ახალის პროექტის ასრულებაში მოყვანა დიდს ხარჯს გამოიწვევს, მაგრამ სიკეთე პროექტისა იმაში მდგომარეობს, რომ ხარჯი მარტო გლეხს არ დააწვება კისრად, არამედ ყველა მართლ-მადიდებელი ქრისტიანესა, წოდებისა და სქესის განურჩევლად. ამით დიდი შეღავათი მიეცემა გლეხობას, რომელიც ეხლა მარტო თითონ ინახავს სამღვდელოებას და სხვა წოდება-კი ამ ხარჯის გასაძლოლად მხარში არ უდგება.

Z.

## ახალი ამბავი

*** კვირას, ამ თვის 8-ს, ტფილისში ჩამოვიდა ყაზანიდგან ქ. ყაზანის საიმპერატორო უნივერსიტეტის პროფესორი ნიკოლოზ ვასილის ძე სოროკინი, რომელიც სწავლა-განათლების მინისტრის მიერ არის გამოგზავნილი კავკასიაში აქაური ვაზის ავადმყოფობის შესასწავლად. ბ-ნ სოროკინს უკვე დაუთვალიერებია რამდენიმე ვენახი დაღესტანში და ბაქოს გუბერნიაში და ოთხშაბათს აპირობს ბათუმში წასვლას. ბათუმიდგან ბ-ნი სოროკინი წავა ქუთაისში და საჩქაროდ დაათვალიერებს რამდენსამე ვენახს იმერეთში. იქიდგან გაემგზავრება სიღნაღსა, თელავში, წინანდალსა და სხვა ადგილებში. კახეთიდგან პროფესორი კავკასსა და ჩრდილოეთ-კავკასიაში უნდა წავიდეს. რადგანაც პროფესორს ნ. ვ. სოროკინს ბ-ნ მინისტრის მიერ ბრძანება მოსვლია, რომ აგვისტოს თხუთმეტამდე დააბოლოვეთ თქვენდამი მონდობილი საქმეო, ამიტომ იგი ერევნის გუბერნიაში წასვლასა და იქაურ ვენახების დათვალიერებას ვეღარ მოასწრობს.

*** გუშინ ტფილისში დაბრუნდა ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ბ-ნი ლანგე, რომელიც იუსტიციის მინისტრის განკარგულებით ტფილისის გუბერნიების სასამართლოებს ათვალიერებს და რევიზიას უკეთებს. ბ-ნ ლანგეს უკვე დაუთვალიერებია გორისა, ახალციხისა და დუშეთის მაზრის სასამართლოები და ამ დღეებში გაემგზავრება კახეთისაკენ ამავე აზრით.

*** პეტერბურგიდგან გუშინ-წინ, ამ თვის 8, ჩამოვიდა ტფილისში მისის იმპერატორებით უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სასახლის უფროსი ზედამხედველი გენერალ-ლეიტენანტი ვასილკოვსკი, რომელიც წინანდალში წასვლასა და მის უდიდებულესობის სასახლის დათვალიერებას აპირობს.

*** ტფილისის სამხედრო ოლქის სასამართლოს ცნობა მიუღია, რომ ამ წლის 11 ივნისს ეჩმიაძინის სომეხთა სინოდს შინაგან საქმეთა მინისტრისაგან მოწერილობა გაეგზავნა: რომ განკარგულება მოახდინეთ და უბრძანეთ სომეხთა სარწმუნოების მღვდლებსა, რომ სასამართლოებსა და მთავრობის იმ დაწესებულებებში, სადაც საქმის წარმოება რუსულს ენაზეა, რუსულადვე დააფიცონ ხოლმე მოწმებიო.

*** დღეს მოგვივიდა განსვენებულის დ. ზ. ბაქრაძის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ 31 მან. აქამდე ამ ფონდისა გვქონდა 802 მან. 22 კაპ. ეხლა იქნება 833 მან. 22 კაპ.

*** გუშინ-წინ საოპერეტო დასმა

# ფელეტონი

## მთათა ქალისა და ადამისგანის სიყვარული

(დასასრული *)

### V

პირველში მწყემსების ერთურთში სასაუბრო ადამისგანისა და ალის სიყვარულის ამბავი ბოლოს დუნიაზედ მოეფინა. ამ ხმამ ადამისგანის დედ-მამამდისაც მიაღწია და დიდს მწუხარებაში ჩააგდო მოხუცნი. ბევრს ფიქრს შემდეგ იმათ გადასწყვიტეს, რომ ის „ხინჯი“ და „ხიბალი“ თავიდგან როგორმე მოეშორებინათ. ნათქვამი მალე აღასრულეს კიდეც, მალე ცოლად ადამისგანს ის ქალი უთხოვეს, ვინც მაშინ ყველაზედ უკეთესად ითვლებოდა. მოახლოვდა ქორწილის დრო, მაგრამ დედ-მამას შვილისთვის ჯერ არაფერი არ შეეტყობინებინა. საქმე ისე ჩუმად და საიდუმლოდა კეთდებოდა, რომ არც არაფერი დანარჩენმა ხალხმა იცოდა. ქორწილის რამდენისამე დღის წინად ადამისგანს დედ-მამისაგან კაცი მოუვიდა, ძალიან საჭიროა შენი აქ ყოფნა, ჩამოდი და ერთი ხუთი-ექვსი თოხლიც წამოიყვანეო. წამოსვლის დროს მზე-ქალმა დაჰკოცნა და უთხრა:

— ვაჰმე, მისდიხარ და, ვინ იცის, კიდე მომიხვალ? კიდე გნახავ მოსულს? ის დაწყევლილი წინად-გრძნობაც, წინმჭვრეტელობაც დამეკარგა; ველარაფერი შემიტყვია. გული-კი რაღაცა უბედურობას ამომძახის: შენ შინ-კი არ დაჰბრუნდე და დამანებო თავი! თუ გიყვარვარ და გინდა, რომ ჩემი გულიც სამუდამოდ შენ გეკუთვნოდეს, არავის არ უთხრა ჩემი და შენი სიყვარული, თორემ მაშინ ყველაფერი მორჩება, შენ ჩემთვის მოკვდები, მე შენთვის; მაშინ ჩვენ ერთმანეთისას ველარაფერს გავიგებთ, რადგან შენს გულს სხვა დაიჭერს, მეც შენთან მოსვლა აღარ შემეძლება, საუკუნოდ უნდა გამოვეთხოვნეთ, დავშორდეთ ერთმანერთს.

ადამისგანმა შაჰფიცა, არავის ვეტყვიო, წამოასხა ცხენები და წამოვიდა შინ.

მშობლებმა ჯერ ამბავი ჰკითხეს და მერე მოუყოლეს:

ხომ იცი, რო ერთი შვილი შენა გვყევხარ? ჩვენ ამ ცხრა-ათ წელზედ დავრჩებით, სიბერე მოგვეჯრება, თავად შესანახავები და მოსავლელები გავხდებით, თორემ-კი ველარას მოვუვლით, ველარაფერს გავაკეთებთ; ჩვენ და ეს ამოდენა ოჯახი, ამოდენა საქმე შინა თუ კარში სულ შენ მოგეხვევა თავზედ; აღარც შენ იქნები მაშინ ცოტა; დაგჭირდება ამხანაგები, კაცები გვერდთ მოსადგომად...

ადამისგანმა შეატყო, რომ ამგვარი წინასიტყვაობა კარგა ხანს გასტანდა, თუ თავად მალე არ დააბოლოვებინებდა, და უთხრა:

„რად მინდა მაგდენი საუბარი და ჩაგონება, რატომ პირდაპირ არ მეტყვით, რაც სათქმელად გინდათო?“

— „ჩვენ ის უნდა გითხრათ, შვილო, რომ ეხლა ცოლ-შვილიანობის კილოსა ხარ; უნდა ცოლი შეგრთოთ. ხომ კარგად იცი, გლეხი-კაცი ცოლ-შვილით არის მდიდარი. ეხლა ნაყოლი შვილები ისეთ დროს გამოგადგება, რომ შენვე გიკვირდეს. ამას გარდა, შვილო, წელან არ გითხარი, შენც დაბერდები; მაშინ კარგიც აღარ ვინ მოგეცემა... დახელ-მოკლდები, გული დაგეჩაგრება... სიბერის დროს რაღა შავ-ქვად უნდა კაცს ცოლ-შვილი, როცა ნახევარი მზე გაციებული აქვს და ცალის თვალით სამარიდგან ამოიხედება? რას გვეტყვი, ჯერ არავინ შეგითვალიერებია, არავინ გიყვარს? ვაჟკაცს უთუოდ-კი ვინმე უნდა უყვარდეს; გვითხარ, თუ ვინმე მოგწონს, იმას შეგრთავთ, კარგია ვაჟკაცს ნანდაური ცოლი ჰყავდეს.

— მე არცვინ მიყვარს, არცვინ შემითვალიერებია და არც შევირთავ არც როდის ცოლს.

— სუ, მაგას ნუ გაგვაგონებ, შენს სიყმეს ვენაცვალეთ, შვილო, ვაჟკაცი და ცოლი არა ჰყვანდეს—ვის გაუგონია?! არ გითხარით, თორემ ნათხოვიცა გვყავს ცოლი და გათავებულიც არის საქმე, მხოლოდ ჯვარის წერა-ღა გვაკლია. ხომ იცი, რომ ნათხოვის ცოლის გაშვება უმიზეზოდ დიდი სირცხვილია, ქვეყანაში ხმა გაქვს; მერე იმისთანა ქალი მთელ ჯამაათზედ არ არის და არცა ყოფილა.

„დავყევ, სჯობიაო“, იფიქრა ადამისგანმა: „უფრო ეჭვს ვერ მოველენ; ბოლოს ხომ მაინც უამისოდ არ ამეცილება, მოიყვანენ, ეგდოს, განა ეს იმის სიყვარულს დამიშლის? დედ-მამას თანხმობა გამოუცხადა დაქორწილებაზედ, მალე ჯვარიც დაიწერა და ქორწილი გადაიხადა. იმ ქვეყანაში ერთს წლამდის თუმცა ცოლ-ქმარს ნება ეძლეოდა გვერდის-გვერდ წოლისა, მაგრამ საცოლ-ქმარო კავშირის დაჭერა-კი არ შეეძლოთ თავის ჩვეულებისამებრ.

გაიარა დაგვირგვინებიდგან ორმასამმა კვირამ, მაგრამ ადამისგანს ცოლისთვის ხეირიანად არც-კი შეუხედნია. ცოლი ატყობდა, რომ იმის ქმარს რაღაც უჩინევი სევდა დასწოლოდა და სტანჯავდა. ერთ ღამეს, დაწოლის დროს ქალმა, ორივე ხელები ყელზედ მოჰხვია და მხურვალედ კოცნა დაუწყო. ადამისგანმა ამოიოხრა.

— რა გჭირს? რა გაწუხებს, შენი ჭირიმე, შეეკითხა ცოლი: რადა ოხრავ? განა არა ეხედავ, რომ მე შენ არ გიყვარვარ, რომ რაღაც უჩინარის დარდითა და სევდით იტანჯები და კი არავის ეუბნები. მითხარ, შენ გენაცვალე, თუ მე ვარ შენის მწუხარების მიზეზი, წავალ, გაგშორდები. ოღონდ შენ გაცინებული, მხიარული გნახონ, ოღონდ შენ გული მოგირჩეს, თუნდ მე ეხლავ თავს მოვიკლავ: შენთვის სიკვდილიც ჩემთვის სიცოცხლედ გასათვლელი იქნება. მითხარ: იქნებ სხვა გიყვარდეს; მაშინ მე ეკლის ლობედ რად უნდა ვიყო თქვენს შუა, რად უნდა გავხდე თქვენის უბედურების მიზეზი.

ადამისგანმა არაფერი უთხრა, მაგრამ ერთხელ-კი, როცა ყაყანოსავით ტურფა და ნაზი ცოლი იმის ლოგინთან თვალ-ცრემლიანი იჯდა და ეუბნებოდა: „მითხარ, თუ სხვა გიყვარს, ის მოიყვანე, მე ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს, თუ თქვენს მოსამსახურედ ვიქნები, ოღონდ შენ რითიმე გაამო, გასიამოვნო, შენს სიახლოვეს ვიყო, თუ ამაშიაც უარს მეტყვი, ჯანაბას ჩემი თავი, წავალ, დავიკარგები, რაც უნდა მომივიდეს, რაც უნდა დამემართოს, არ ვინაღვლი: შენ ხომ შენის ბედის კმაყოფილი იქმნებიო, ადამისგანს თავი მოჰბეზრდა და უთხრა:

— არა მძულხარ, მებრალები კიდეც, მაგრამ რა ვუყო, ქალო, რამდენიც ვცდილობ დაგიახლოვდე— იმდენი გშორდები, რამდენიც ვცდილობ შეგიყვარო, იმდენი...

— „ნუ იტყვი, შენ გენაცვალე, გძულდებიო, მაშ სხვა გიყვარს?

ადამისგანს უნდოდა ეპასუხნა, დიახო, მაგრამ მოაგონდა მიცემული პირობა და პასუხი არ მისცა, მხოლოდ გადაჰკრით უბძანა, გახუმებულიყო, „ნუ გადასც-გადმოსცემდა.“ საწყალი ქალი ფარვანა სანთელს იმიტომ თუ ეტანებოდა, რომ ადრე, თუ გვიან იმის ალზედ უნდა გახუხულიყო. ქალი იტანჯებოდა, მაგრამ არც ხეი-

*) იხ. „ივერია“ № 144.

ლიუბიმოვისამ უკანასკნელი წარმოდგენა გაჰმართა და ითამაშა სამ-მოქმედებიანი ოპერეტი: «მშვენიერი ელენე». თეატრში საკმაოდ ბევრი საზოგადოება დაესწრო, ასე რომ პარტერში სულ აღარ მოიძებნებოდა ადგილი თუმცა ლოჟები ცარიელი იყო. სხვათა მოთამაშეთა შორის ერჩეოდნენ ისევე ქ-ნი ბელინსკისა და ბ-ნი როდონი. როდონი მშვენიერი კალხასი იყო. დანარჩენები-კი ძალიან სუსტობდნენ, მეტადრე უმართებულად ეჭირა თავი მენელაის, ელენეს ქმარს. საოპერეტო დასი გუშინვე ქუთაისს გაემგზავრა და იქიდგან-კი ბათუმს აპირებს წასვლას.

*** უწერა, 6 ივლისი. მეტის-მეტი სიცხეებია. ხალხი რამდენიც დაეტევა სახლებში, იმდენია მჟავე წყალი შეკეთებული ბ-ნ გამყრელიძისაგან. ქვითკირის აუზიდგან წყალი ლამაზის მილით გადმოდის. ერთი ბიჭი სდგას ჰიქით და აწვდის წყალს მსურველთ. ხალხი ფანჩატურში ზის. გადასახადი სულზედ დღეში შაურია. წინად გზაც არ იყო ასასვლელი, ახლა კარგი გზაა გაყვანილი; წინად ჩამოსაჯდომ ქვასაც ვერა ვშოულობდით, წყლისათვისაც წეწვა-გლეჯა და ცემა-ტყეპა გვქონდა, ახლა ყოველივე ეს მოსპობილია ერთის შაურის წყალობით. ამას ვინა ჩივის, მაგრამ საქმე აი რაშია: მოდის გლეხობა თავის ფეხით ქალებიან-ბავშვებიანა, მოაქვს თავისი საგძალი, უნდა წყალი დალიოს და უფულოდ-კი არ აძლევენ. იღებს საწყალი გლეხი ერთს პურს და აწვდის მებაქეს: „შაური არა მაქვს და თუ შეიძლებოდეს, ეს პური მიიღეო“. ნუ თუ არ შეიძლება, რომ ამათ მაინც მუქთად დაუთმონ და ეს მცირე გადასახადი არ ართონ ისეც ღარიბთა და უშემწეოთ. ბევრნი აჟრცელებენ ხმას. ვითომც მჟავე წყალს თვისება დაჰკარგოდეს შეკეთების გამო, მაგრამ ეს სრულიად ტყუილია. იგივე სიცხოველე და იგივე ბუდი აქვს ახლაც წყალს და ბლომად გამოდის მილიდგან, არა ისე წვეთ-წვეთად, როგორც წინად გამოდიოდა. რკინის წყლის აბანოში ორი აბაზია აუზი.

*** თელავი: თელაველები აპირობენ თურმე იშუამდგომლონ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წინაშე, რომ თელავშიაც დაარსდეს სამეურნეო საზოგადოების განყოფილება. თხოვნა უნდათ გამოჰგზავნონ ენკენისთვეში, რადგანაც მანამდის სამეურნეო საზოგადოებას კრება არ დაეწყებათ.

*** ქუთაისი: როგორც «ივერიაშიაც» იყო ნათქვამი, 4 ივლისს ხელოსანთა კრება იყო და კომისიამ თავისი მოხსენება წაიკითხა. ამ მოხსენებიდგან აღმოჩნდა, რომ უწინდელს ხელოსანთა მთავარ-უსტაბაშს ბ-ნს პატარიძეს ცუდად აუსრულებია თავისი მოვალეობა. იმის დროს დაკარგულია ფულის ბარათები, ფულია დახარჯული, შეიძი მოწმობა არსადა სჩანს და თავის ხელ-ქვეითებიც უდანაშაულოდ დაუთხოვნია და სხ. ამ მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ გაჰკიცხა მთავარ-უსტაბაში ასეთის უკანონო საქციელისათვის, შემდეგ კენჭი ჰყარეს და ახალ მთავარ-უსტაბაშად 271 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 68-სა ამოირჩიეს ვასილ ლულავა.

*** სურამი: ჩვენში წრეულს ძალიან კარგი მოსავალია, ასე რომ კარგს დღებულს საძნე ურემს ხუთი ექვსი კოდი პური გამოსდის სულ წმინდა მარცვალი. სიმინდებიც ძალიან კარგია და, თუ ღმერთმა შეგვიბრალა და ორიოდე დღეს წვიმით დაგვნამა, მაშინ პურის მოსავალს სიმინდისა გადააჭარბებს. ვენახებსაც აქა იქ ვვარიანად ასხია. მხოლოდ ადგილ-ადგილ ვაზს ფოთოლი ძალზედ გაჰყვითლებია და ამ გაყვითლებულს ვაზს ან არ ასხია და ან თუ ასხია, ძალიან ნაკლებ მარცვლიანი მტევნები. აშკარაა ვაზს რაღაცა სენი სჭირს, თუმცა-კი აქ არავინ იცი, რა სენი უნდა იყოს ეს სენი.

*** ბორჯომი: საავგარაკოდ მოსული ხალხი საკმაოა, ამ ბოლოს დროს თითქმის ტევაც არ არის. ბევრია რუსეთიდგან, ბევრია ტფილისიდგან და ბაქოელებმა ხომ ავსებით აღავსეს აქაურობა. დრო-კი ძალიან უფეროულად მიდის. გართობათა სხვა-და-სხვაობა, რომელიც აგრე საჭიროა სულითა და ხორცით მაშვრალთათვის, მეტად ნაკლებია. ერთად ერთი გასართობი სამხედრო მუსიკაა, რომელიც ცოტა არ იყოს, სილოცხლესა და ფერსა სდებს აქაურობას თავისის ყურთასმენის წამღების ხმაურობით, ასე რომ მსმენელს ყოველი ესტეტიური გრძნობა ეხშობა. ბაქოელთათვის ეს საჭირო არ არის. მწვანე სტოლი, ცარცი, ბანქო და მისი ჯანი, აი იმათი სატრფიალო და იმათი დროს გატარება. ასე სცხოვრობენ დილის 8 საათიდგან ღამის 12 საათამდე! ზოგი ეკზბატონი საერთო დარბაზშიაც-კი, სადაც გაზეთების საკითხველოა, ისეთს ღრიანცელსა და აყალ-მაყალს სტეხავს, რომ, გაზეთი-კი არა, თავი აეიწყდება კაცს. ჩვენი გასართობი მხოლოდ ეს მუსიკაა და საცეკვაო საღამო, რომელიც უკვე რამდენჯერმე გაიმართა. დღეს, 7 ამ თთვისას, კონცერტიც იყო გამართული ახალგაზრდა ტენორის კოვალენსკის მიერ. მონაწილეობას იღებდნენ პიანოს დამკვრელი ქალი რომანოვისა და მექიანურე ნახაპეტოვი. ყველანი დიდის სიამოვნებით მიეშურებოდნენ ამკონცერტზედ, ეგების აქაურის მუსიკის გამომაყრუებელის ულარო-ულურის რიგიანის რითიმე დაეიტკბოთ სმენაო, მაგრამ იმედ-გაცრუებულნი-კი დაბრუნდნენ. ამ მოკლე ხანში წარმოდგენის გამართვასაც აპირობენ საქველ-მოქმედო მიზნით. აქა ბრძანდება ამ ჟამად მისი ბრწყინვალება ტფილისის გუბერნატორი თ. შერვაშიძე. ძალიან დააჭირა სიცხემ ამ უკანასკნელ დროს ბორჯომს. ასე, რომ წვიმასა და ჰაერის გაგრილებას ცის მაჰანასავით მოველით.

*** ცხე-გდაგა (დუშეთ. მაზრა): 20 თიბათვეს ამ სოფელში როსტომ ხამიცაშვილი ჩაუსაფრდა თავისავე სოფლელს გიგლა ბატარაშვილს, რომელისაც მტრობა ჰქონდა, და როცა ეს მიუახლოვდა, გამოუვარდა და თავში ჰოლოკი დაჰკრა. შემდეგ ხანჯალი ამოიღო და მარცხენა ხელსა და გვერდში დასჭრა დაჭრილი სიკვდილის პირზეა. ეს ამბავი დუშეთის გამომძიებელს ეუწყა და დამნაშავეს უკვე დაეძებენ.

*** სოფ. ზიარი (სიღ. მაზრა): 20 თიბათვეს ჩვენის სოფლის მცხოვრებელს ნინო ნოდაშვილს, რომელიც წყაროზედ მიდიოდა, თავს დაეცა ხანჯალ-ამოღებული გურჯაანის მცხოვრებელი მიხა ელიზბარიშვილი და ძალ-დატანება უნდოდა ეხმარა, მაგრამ გამომვლელებმა შეუშალეს ხელი. დამნაშავე შეიპყრეს და გამოძიება სწარმოებს.

*** სოფ. დიდოსი 5 მკათათვეს, შუაღამისას, ჩვენს სოფელში ცეცხლი წაუკიდეს და ერთიანად გადასწვეს ძნის ძირი, რომელშიაც 15 ურემამდე გამოვიდოდა. ეს ძნა თხუთმეტ თუმნამდე ჰღირდა და დარჩო გიგოლაშვილს ეკუთვნოდა. დაზარალებულმა სთქვა, რომ ჩემი დამღუპველი თუ იქნება ვინმე, ისევე მამიდაჩემი უნდა იყოს, ეფემია გიგოლაშვილიო. გამოძიება უკვე სწარმოებს ამ საქმის შესახებ და დამნაშავეს გულ-მოდგინედ დაეძებენ.

*** დუშეთის მაზრა: სოფ. ჯიკეთის საზოგადოებაში 27 თიბათვეს დიდი სეტყვა მოვიდა და სულ ერთიანად გაანადგურა 200 დღიური ქერი, 250 დღიური პური, 60 დღიური შვრია და ამას გარდა 160 დღიური სათიბი ადგილები დააზიანა. სულ ზარალი 6,200 მანათამდე მოუვიდა ამ საზოგადოებას.

*** ივლისის 8, ღამის სამს საათზე, პოლიციის მეათე ნაწილში მოხელემ ნეფედოვმა, კოსტიურენკომ და ვასილი იუხმანოვმა რკინის გზის ლიანდაგს იქით შეიპყრეს ნახიჩევანის მაზრის სოფ. ზემო აკულისის მცხოვრებელი მამად ახმედოვი და სოფ. დასტას მცხოვრებელი მირზა-ყული-ქერბალაი ჰუსეინ-ოღლი, რომელთაც მიჰქონდათ ერთი საზაფხულო პალიტო, პინჯაკი, ორი შარვალი, სამუშაო ბლუზა, 15 მან. ღირებული ვერცხლის საათი და ფულის ქისა, რომელშიაც იყო 5 მან. და 60 კაპ. სულ მიჰქონდათ 52 მანეთისა და 10 კაპ. ღირებული. იმავ დილითვე მოვიდნენ პოლიციაში გორის მაზრის მცხოვრებელნი გლეხნი ნიკოლოზ ზაიაძე და ივანე ხარაზოვი და გამოაცხადეს, რომ ეგ ნივთები ჩვენ მოგვპარეს სახლიდგან ფანჯრიდგან და ჩვენ გვეკუთვნისო. ეს საქმე სასამართლოს გადასცეს.

*** ივლისის შვიდს პოლიციის პირველს ნაწილში ტფენგის პოლკის ჯარის-კაცი პავლე ვასილევსკი, მუშაობის დროს, სახლის შენობიდგან გადმოვარდა და მძიმედ დაშავდა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ივლისის 8, ღამით, რიყეზე სათადარიგო ფრეიტერს პავლე ეგორკინს მოჰპარეს 45 მანეთად ღირებული ტანისამოსი. პოლიციის მოხელემ ვაშაძემ აღმოაჩინა ქურდი. ქურდი ყოფილა ნახიჩევნის მცხოვრებელი სიმონ ჩებაკოვი, რომელმაც აღიარა, რომ ტანისამოსი ამა-და-ამ დალალს მივყიდეო. ნაქურდალი წაართვეს მყიდველს და პატრონს დაუბრუნეს. ქურდი-კი სასამართლოს გადასცეს.

*** ივლისის 7, დოქტორის ვიწრო ქუჩაზე, მიხეილსონის ჭურჭლეულობის საწყობში ონის მცხოვრებელი 15 წლის ბავშვი აბაკო სულაძე ეთამაშებოდა სოფ. ქვიტირის მცხოვრებლის გლეხის შვილს 8 წლის ვანოს. თამაშობის დროს სულაძემ დაავდო თავისი ამხანაგი და უცაბედად მარჯვენა ფეხი მოსტეხა. დაშავებულს შემწეობა აღმოუჩინეს.

---

რი ადამისგანს ეყარა: ეს უფრო დალონებული და დაფიქრებული იყო.

ერთხელ, შუაღამისას, როცა ადამისგანს ეძინა და ცოლი-კი იმის გვერდით მჯდომარე ცრემლით ლოცვინს ასველებდა და ევედრებოდა ღმერთს შველას, უცებ იმის ქმარმა გვერდი მოიბრუნა და დაიწყო ლაპარაკი: „სად წასულხარ, რატომ ახლოს არ მომიხვალ, შენის გულის ჭირიმე“... ცოლი შეკრთა, შეწითლდა, იმას სათავისო ეგონა ეს სიტყვები. ფხიზლად ყური დაუგდო. აჩქამდა ადამისგანის ტუჩები, თითქო ვილასაც აკოცაო. გავიდა სულ ერთი ბეწო ხანი, კიდევ მოისმა იმისი ხმა: „კოცნა რადაა? განა გწყინს?“ კიდევ გაისმა მხურვალე ტლაშანი და ჩურჩული: „მაშ საგძალი არ მინდა?“ ზედ ხელები გაშალა და მერე თანდათან მოხარა, თითქო მოხვევნა ვისიმე უნდაო და გულზედ შემოიწყო. კიდე წაიუბნა: „ხომ მაინც მანდ არის შენი ბინა; აზირ თვალდაც მაგის ახლო იყო, არა სჯობია“, კვალად მოისმა ტუჩების ტყაპანი და დუდუნი, რომელშიაც ალერსი და სიყვარული გამოიხატებოდა. მძინარა ცოტა ხან გაჩუმდა. მერე ისევ მოუსვენრობაში ჩავარდა. ხელფეხის წამ-უწუმ წუხილი; ტუჩების ნძრევა და სხეულის განუწყვეტელი მოძრაობა აშკარად ამჟღავნებდა მძინარის დიდ სულის მღელვარებას, რომელიც ბოლოს ისევ სიტყვებით გამოსთქვა. ქალი მიუახლოვდა და ყური ახლოს მიუტანა პირზედ, ეგებ უფრო გაეარჩია, რას ამბობსო, მაგრამ ვერაფერი გაიგო. ბოლოს მწოლიარემ წამოიწია და კარგა გარკვევით, თუმცა დაბლა, წყნარად-კი სთქვა: „მოხვედი ისევ? აკი აღარ აპირობდი დაბრუნებას? „წახველ, მატირე წასვლითა, არ მოხველ-მოლოდინითა, რატომ არ მომიახლოვდები, შორს რადა სდგახარ, შენ გეთაყვანე. „განა გიცნობ? სადაური კითხვაა?“

ცოლმა არ დააცალა და ჰკითხა:

— მაშ ვინა ვარ? ვის ქალი ვარ? ვინ დამკარგე, დამივიწყე და ვინ გიზის?

— სუ, მზე-ქალო, შენი ჭირიმე, მაგეებს ნუ მეუბნები! განა მე კიდე კითხვა მინდა, ან შენ ვის შვილი ხარ, ან მე და შენ ერთურთი სად გავიცანით? ადამისგანმა ხელები გაიფათურა და წამოჯდა. პატარა ხანს ასე იყო, თითქოს ყურს უგდებდა... გარშემო სიჩუმე ჰმეფობდა. ცოლიც არ ინძრეოდა... იმანაც ხელ-მეორედ თავი მიდვა და დაიძინა, დილამდის არც გაუღვიძნია, აღარც ამოუოხნია. მეორე დღეს ისე ლამაზად მოეჩვენა ცოლი, ისე მოეწონა, რომ ალტაცებისაგან აღარ იცოდა რა ექნა... ცოლმაც შეატყო ქმარს ცვლილება და ერთი-ათასად უფრო აყვავდა, უფრო გამშვენიერდა. ადამისგანმა მოიგონა ძველის სიყვარულის ანგარიშები და ისე ეპყრობოდა ამასაც, როგორც თავის უწინდელს სატრფოს. ესეც ისეთივე ღვთაებრივი არსება ეგონა და სიყვარულიც ისე ძლიერი ჰქონდა, როგორც იმისი!..

## VI

ამასობაში გავიდა პირველი წელიწადი და დადგა მეორე. პირველ წელს ადამისგანს კიდევ ახსოვდა თავის პირველი მიჯნური, მაგრამ ეხლა სულ დაივიწყა. ეხლა ის სულ მთლად მიეცა სულისა და ხორცის სიამოვნებას. ცხვარს თავი დაანება; მწყემსებს ჩააბარა, თავად-კი შინ დარჩა. ცოლმა და ქმარმა სული და გული გააერთეს: ერთმანეთთან დამალული აღარაფერი ჰქონდათ. ალის სიყვარული ჯერ ხომ ქალმა მოულოდნელად ათქმევინა ქმარს, მერე აშკარად, გამოცხადებითაც აამბობინა და თავადაც უამბო, თუ ერთხელ მძინარ შუშარას როგორ წამოაროშინა მზე ქალის სიყვარული... ცოლ-ქმარნი სრულიად ბედნიერად სთვლიდნენ თავს. ასე მიდიოდა დრო. განვლო რამდენმამე წელიწადმა... შვილებიც ეყოლათ: ორი ვაჟი და ორი ქალი... ადამისგანს თანდათან მოეწყინა, რამდენიც ხანი მიდიოდა, იმდენი უფრო აგონდებოდა პირველი სიყვარული, თანდათან იმის მოგონებით გული უფრო და უფრო სიამოვნებით ევსებოდა, უფრო და უფრო ხშირად დაიწყო თქმა თავისთვის:

— აბა სიყვარული ის იყო, მაშინ რომ მიყვარდა, ნეტა ერთხელ კიდევ დამანახვა იმისი თავი!

ადამისგანმა ერთხელ ნადირობის დროს განიზრახა კლდეებში ასვლა მზე-ქალის სანახავად. თუმცა ზამთარი იყო და დიდი თოვლი იდო, მაგრამ არაფერს შეეპოვა. ის მიდიოდა ერთის კლდიანის გორის ფხაზედ, რომლის აქეთ იქიდგან ტიტველი ფერდოები ეყუდა. დათოვლილი ზამთრის მზე ოდნავ ამოსცილებოდა მთის წვერებს და ალმასებრ აელაპლაპებინა მიდამო. ხეებზედ დადებული თოვლი ცოტად შემლხვალიყო და ხვავივით ჩამოდიოდა თავდაღმა. დედა მიწაზედ მდებარე თოვლი დატეშილიყო, გალოპოწყლებულიყო და ყოველ წუთს მზას იყო ერთის შეხებით ახვეტილიყო და ჭყაპ-ქუხილით ჰალას მიჰბარებოდა. მაგრამ ადამისგანი არაფერს ეპოვებოდა და სულ ზევით და ზევით იწევდა. ბოლოს დროს ერთ თვალ-აუწვდენელს კლდეს მიადგა, რომელსაც ჯანღი და ნისლი ეხვია. აგერ ქარმა დაუბერა, ახვეტა ზევით ნისლები და კლდეს შუა გული გამოუჩნდა, სადაც სახეხიანით კლდე წინ გადმოწეულიყო და გადმოჰფარებოდა ერთ ოთახის ტოლა ეხს, რომლის პირზედ, კარებთან, შავ-ტანისამოსიანი, თოვლის პირა მზე-ქალი დამჯდარიყო, თმები გაეწეწა, მარჯვენა ხელით კლდეს მიჰბჯენოდა, მარცხენა თვალებზედ მიეფარებინა და ტიროდა. ამის ტირილზედ კლდესაც გული ამოსჯდომოდა და წარბ-შეჭმუხნული ცრემლსა ჰღვრიდა, ამის დანახვაზედ ადამისგანსაც გული აუჩუყდა და დაუძახა,

მზე-ქალო, ჩემო სიცოცხლევ!

ქალმა არც აიხედა, არც პასუხი გასცა. ადამისგანმა განიმეორა:

რად მიწყრები, შენის თვალების ჭირიმე!? რატომ არაფერს მეტყვი, არ გამაგონებ შენს ტკბილს, სანატრელს ხმას? განა ეს სევდა-კი არ მეყოფა, რომ ახლა შენის მდუმარებითა და გულ გრილობით არ მომიკლა გული? თუ გწყინს ჩემი მოსვლა, ისევ წავალ, მხოლოდ ერთი მოიხედე, ერთი სიტყვა მაინც მითხარ შენს სახსოვრად.

ადამისგანმა ტირილი დაიწყო.

— ვინა ხარ? მოისმა მაღლიდგან.

— ადამისგანი.

— „რისთვის მოსულხარ“?

— მიყვარხარ და იმიტომ.

— შენ რა სიყვარულის ღირსიც იყავ, აკი იშოვენე და კიდეცა გაქვს? შენ რომ ჩემი თავი გდომებოდა, სიტყვას ამისრულებდი, არ მიღალატებდი. ხომ გითხარ, შენ ჩემთვის მოჰკვდები, მე შენთვის-მეთქი? ეხლა ყოველივე გათავებულია. რა გინდა? რაღას მაწუხებ? რატომ თავს არ დამანებებ.

— მზე-ქალო, მზის სხივო, მანათებელო ჩემის წარსულის და მომავლისავ! დამაცა, გითხრა მაინც, რაც მტანჯავს. ვიცი, რომ გეზიზღები, მაგრამ ნება მომეცი ერთი-ორის სიტყვის თქმისა. თუ შენს წინ თავს ვერ გავიმართლებ, იქები მე მაინც მოვიოხო ჩემის სევდითა და ბოლმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ფოთი. 4 ივლისი. ჩვენი ქალაქი საკმაოდ სუფთა ქალაქია, მაგრამ ქალაქის განაპირა ადგილებისას-კი ვერ ვიტყვით, რომ ისე კარგად ინახებოდეს, როგორც, მაგალითად, ბულვარის გარშემო ქუჩა, გურიისა და სომხებისა... წრეულს ფოთის ქუჩები თითქმის ყველგან შეაკეთ-შეასწორა ქალაქის თვით-მმართველობამ და ცოტა კენჭებითაც მოჭფინა გზები, ასე რომ ფეხით სიარული მეტად უხერხულია და მაზოლს ადვილად გაუჩენს მოსიარულეს. კარგი იქნება, რომ ამ მოყრილს კენჭებზედ ცოტა წმინდა ქვიშას მოაყრიდნენ და მგზავრთა ფეხებს შეიბრალებდნენ...

კერძოდ შევიტყეთ, ვითომც ფოთის ქართველების ეკლესია აქაურ ბულვარში გადაჰქონდეთ. არ ვიცით, ეს ადგილის გამოცვლა რას გამოუწვევია, რადგან ახალი ბინა მოხერხებული არ არის საყდრის ასაშენებლად, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მთელის ფოთის საზოგადოება სადამოთი აქ იყრის თავს სასეირნოდ და ამას გარდა, მეორეც, ეს ადგილი დაშორებულია მომეტებულ ნაწილ ქალაქის მცხოვრებლებზედ, მეტად ახლოა ქალაქის ბაზართანა და სავაჭრო ადგილთან, სადაც ყველა ჯურის ხალხი თავს იყრის კვირაობით და დიდი ყვირილ-ყიჟინი და ლაზღანდარობაა ხოლმე. უმჯობესია, თუ მართლა ეკლესიის დანგრევა მოუწადინებიათ, საყდრის აშენება და გამართვა მ. კაპარჭინას პირზედ, ბ-ნი გროცკის სახლის პირდაპირ, სადაც მშვენიერი გაშლილი ადგილია და ქალაქის ყველა მცხოვრებლებისთვისაც ხერხიანი. ფოთის სომხების ეკლესია აქამდის ცოტა სამწუხარო მდგომარეობაში იყო, მაგრამ ახლა-კი მ. ხუციანცის თაოსნობით შეკეთებას უპირებენ. საქართველოს არა სოფელში არ გვეგულება ასეთი ღარიბი სომხების ეკლესია, როგორც აქ, ფოთში.

აქ დიდი მადრიელნი არიან ბ-ნ გ. პ. პლოხოტნიკოვისა, რომელიც ფოთის სამოქალაქო ოთხ-კლასიანს სასწავლებელში იყო ინსპექტორად. ამ ინსპექტორის გამჭრიახობითა და თაოსნობით ოთხჯერ-ხუთჯერ სამუსიკო-სალიტერატურო საღამო გაიმართა მისდამი რწმუნებულს სასწავლებელში, სადაც მიწვეულმა საზოგადოებამ თავისისვე ნებით 1367 მანათამდე შესწირა სასწავლებელს. ამ ფულით ბ-ნმა პლოხოტნიკოვმა სამხედრო მუსიკისა და სახელოსნო იარაღი მოუპოვა სკოლასა და ყველაფრით მოაწყო წინად გაუმართავი სასწავლებელი. ამ სკოლაში, წინადაც გვითქვამს, მუსიკასა და დურგლობას უკვე დიდი ხანია ასწავლიან ბავშვებს, მხოლოდ სამწუხარო ისაა, რომ აქამდე ამ სასწავლებლიდგან განდევნილია ქართული ენა, თუმცა სასწავლებელში იმერლობა და გურულობა მეტია მეგრელებზედ. მეგრელებს მეგრულს ასწავლიან და, ამას ვინა სჩივის, მეგრულსავე ასწავლიან იმერლებსა და გურულებსაც. ეხლანდელი ინსპექტორი პლოხოტნიკოვი უკვე გადაიყვანეს აქედგან ქ. ეისკში ინსპექტორადვე და იმის მაგივრად-კი აქ გადმოყვანილ იქმნა ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ბ-ნი ვასილი იაკობის ძე პეტიცკოვი. იქნება ამან მაინც შეავსოს ნაკლი და წყალობის თვალით გადმოხედოს ქართულს ენას. ფოთელებს-კი დიდი იმედი აქვთ, და ვნახოთ, რა იქნება.

საბაშიოელი

## წერილი რედაქციის მიმართ

საჭიროდ არა ვსთვლით ისევ იმ გარემოების განმეორებას, თუ რა დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენს ქვეყანას ჩვენმა გამოჩენილმა ისტორიკოსმა და არხეოლოგოსმა დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძემ თავისის ნაყოფიერისა და დაუცხრომელის შრომით საისტორიო ასპარეზზე. ამის თაობაზე საკმაოდ იყო ნალაპარაკევი ჩვენს გაზეთებში. ჩვენ გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ კიდევ ის აზრი, რომ განსვენებულის ნაწერების გამოცემას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენის მომავლის თაობისათვის. უეჭველია, დ. ზ. ბაქრაძე უნდა ჩაითვალოს ქართულის ისტორიოგრაფიის მამად, ვინაიდგან მან დაამყარა ჩვენი ისტორია მტკიცე მეცნიერულს ნიადაგზე. თქმა არ უნდა, რომ ქართული ისტორიოგრაფია თანდათან უფრო გამდიდრდება სხვა-და-სხვა ისტორიულის თხზულებით, რომელსაც დ. ზ. ბაქრაძის ნაწერები უნდა გაუხდეს საფუძვლად და საძირკვლად. ამისათვის მთელმა ქართველობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და ყოველი ღონის ძიება უნდა იხმაროს იმ ფონდის შესავსებლად, რომელიც დაარსებულია დ. ზ. ბაქრაძის სახელობაზე. ჩვენც შევაგროვეთ ამავე ფონდისთვის დ. ხონში ორიოდე გროში, რომელსაც ამ წერილთანავე გიგზავნით და გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ. აგრეთვე გთხოვთ დაჰბეჭდოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში შემდეგი სია შემომწირველთა:

მათე ბახთაძე 2 მ., კონსტანტინე ღორთქიფანიძე 2 მ., ევგენი ქუთათელაძე 2 მ., სალომე ღორთქიფანიძისა 1 მან., ილია წულუკიძე 1 მან., ალექსანდრე სანოძე 1 მან. ილია ანჯაფარიძე 1 მან. იოსებ ტატიშვილი 1 მან. ანდრია დავითის ძე ბახთაძე 1 მან. კონსტანტინე სიდავა 1 მან. მიხეილ წივწივაძე 1 მან. იასონ პავლეს ძე ბახთაძე 1 მან. ნესტორ წერეთელი 1 მან. ლეონ კლდიაშვილი 1 მან. ილარიონ ბერიძე 1 მან. ვლადიმერ მაჭარაძე 1 მან. სარდიონ ჭავჭანიძე 1 მან. ალექსანდრე მაჭარაძე 1 მან. კარლე ბურნო 1 მან. არხიპო მაჭარაძე 1 მან. გრიგოლ თომას ძე ბახთაძე 1 მან. სამსონ ქუთათელაძე 1 მან. №№ 50 კაპ. მიხეილ ხარაზოვი 50 კაპ. მიხეილ სანოძე 50 კაპ. დიმიტრი ლაზარეს ძე ბახთაძე 50 კაპ. იაკობ საღარაძე 50 კაპ. აპოლონ აბაშიძე 50 კაპ. ივანე ცხაკაია 50 კაპ. ნ. მდივანი 50 კაპ. იოსებ გოროზია 50 კაპ. ასლან კარტოზია 50 კაპ. ანტონ ყუფარაძე 50 კაპ. პავლე რუხაძე 50 კაპ. მიხეილ საღარაძე 42 კაპ. სულ 31 მან. და 42 კაპ. ფულის გამოსაგზავნად დაიხარჯა 42 კაპ. დანარჩენს 31 მან. გიგზავნით.

ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი
მიხეილ საღარაძე

დ. ხონი

# უცხოეთი

გერმანია. ფრანკფურტის გაზეთის გამომცემელი იულიუს რიტტერჰაუზი ყოფილა ბისმარკთან და ფრიად დიდხანსაც ჰქონია ამ შესანიშნავ კაცთან ბაასი და ლაპარაკი აწინდელ საპოლიტიკო ამბებზედ. განსაკუთრებით საყურადღებოა ბისმარკის ნალაპარაკევი გერმანიის ჟურნალ-გაზეთობის შესახებ. როცა რიტტერჰაუზს უთქვამს, რომ საკვირველია, უცხო ქვეყნის გაზეთების კორრესპონდენტები მოდიან თქვენ სანახავად და თქვენს ნათქვამს ჰბეჭდავენ ხოლმე და არც ერთი გერმანიის მწერლობის წარმომადგენელი-კი არა ყოფილა აქამდე თქვენთანაო, ბისმარკს წამოუძახნია: „გერმანიის გაზეთები? დიაღ, სწორედ ის გაზეთები აღარ მაქცევენ ყურადღებას, რომელნიც აქამდე ცოტად ჩემგანაც იყვნენ დამოკიდებულნი. წინად ძლიერი ვიყავ, გოლიათი და ეხლა ხომ ის აღარა ვარ, რაც ვიყავ, აბა რაღა მოინდომებენ ჩემთან საქმის დაჭერას. აქაური ჟურნალ-გაზეთობა დიდად მშიშარაა და იოტის ოდენი სიმამაცე არა აქვს... ჰშიშობენ, ჩემთან მოსვლით მტერი არავინ გაიჩინონ. „Post"-ი და „Kölnische Zeitung"-ი, რომელნიც წინად დიდად დაახლოვებულნი იყვნენ ჩემთან, ეხლა ისე მერიდებიან, თითქოს გადასადები რამ სენი მჭირდესო! წინად ფიქრადაც არ მომსვლია, თუ ჩვენი მწერლები ასეთი მოშიშრები იქნებოდნენ! ეხლა ცოტა გაზეთებსა ვკითხულობ. „Kolnische Zeitung"-ის კალო არ მომწონს, ეს გაზეთი, თითქო მარიგებსო, ათას გვარს რჩევას მაძლევს, დიდად ჰზრუნავს, თავს იტკივებს ჩემის გულისათვის. მე მხოლოდ „National Zeitung" სა და „Hamburg. Nachrichten"-ს ვკითხულობ და უკანასკნელთან მეგობრული განწყობილება მაქვს კიდეც. საზოგადოდ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ისევ თავისის მამაცობით სოციალისტურის მიმართულებისათ ეტყობათ პატარა ჭეშმარიტ მწერლობის ნიშან წყალი. ეხლა ხომ გესმით, ასეთის ზიზღით რად ვიხსენიებ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს. წარმოიდგინეთ, არც ერთმა გაზეთმა, რომელსაც-კი მხარში ვუდგევი, აღარც-კი მოიხედა ჩემკენ, არც ერთმა აღარა მნახა მას შემდეგ, რაც კანცლერობას თავი დავანებე".

ინგლის-გერმანიის მორიგების შესახებ ბისმარკს უთქვამს, რომ მაგ პირობით ზანზიბარს მე არ ვინდომებდიო. თუ მაინც და მაინც საჭირო იყო ჰელგოლანდი ჩვენს საკუთრებად გაგვეხადნა, იმისი მოპოვება უფრო იაფად შეიძლებოდა, ვიდრე ჩვენ მოვიპოვეთ. ვინიცობაა ომი და ბრძოლა ასტყდა, ჰელგოლანდი კარგად უნდა იქმნას შეიარაღებულ-გამაგრებული, თორემ შეიძლება ჩვენვე გაგვიხდეს ორმოდ. 1870 წ. ჰელგოლანდი ნეიტრალად იყო. რა-კი ეხლა გერმანიას ეკუთვნის, თუ საფრანგეთთან აურ-ზაური მოგვიხდა, ჩვენი მტერი იქიდგან მოგვივლის და დიდად დაგვაზიანებსო. ამ[illegible] თუ [illegible] გვინდა, რომ ჰელგოლანდმა სარგებლობა რამ მოგვიტანოს, ძალიან კარგად უნდა გამაგრდესო.

ამ ბისმარკის გაზეთების შესახებ ლაპარაკმა დიდი აღიაქოთი ასტეხა გაზეთებში. «Post»-ი, რომელსაც ნაკანცლერალი ძალიან ცუდად იხსენიებს, ამბობს, რომ ჩვენ სრულიად არ ვეკუთვნით იმ გაზეთების რიცხვს, რომელთა ფულით მოსყიდვაც შეიძლებაო. ამ გაზეთის დაარსების დროს რედაქტორმა პირობად დაგვიდო, რომ თ. ბისმარკის პოლი-

---

დამწვარ-დაბუგული გული! ქალი სდუმდა. ადამისგანმა განაგრძო:

— ხომ იცი, პირველად შენ შემიყვარდი, პირველად შენმა სიყვარულის მდინარემ მომიტაცა და დამმალა თავის გასაოცარს ზვირთებში. შენ ჰფრინავდი ცათა მიუწდომელს სივრცეში, საკვირველებაში. მეც მომეწონა ისა და მოვისურვე სულით შენთან აღმოფრენა. ავისხი მხრები და გამოვუდგე შენს ვარსკვლავებითა და ია-ვარდით მოფენილს გზას!.. თავი ბედნიერი მეგონა. ის-კი არ მახსოვდა, რომ კისერზედ მძიმე ქვა მება, რომელსაც ბოლოს ჩემთვის არიაქათი უნდა გამოელია და დაბლა დავენარცხებინე! არ მახსოვდა, რომ ჩემის ბედის ყულაბი დაბაბოლოს იქ უნდა გატეხილიყო, სადაც ყოველნი მიწიერნი ჰია-ღუანი თრთინავენ და ფუსფუსებენ!.. გაიგონე, ჩემო კარგო, რომ თვალით გხედავ, სულით შენთანა ვარ, შენთან ვიმყოფები განუშორებლივ, მაგრამ ჰხედავ? მინდა შენთან ამოსვლა, მიწას ვაკრივარ, ხელს გაწვდი მოსახვევნად — ვერ შემოგწვდომივარ!.. თოკით მიწაზედ დაბმული შავარდენი სამოთხის ფრინველმა მიიზიდა და თან გაიყოლა. როცა ისე მაღლა ავიდნენ, რომ შენობანი, მთანი და ღრუბელნი თვალით აღარა სჩანდა, შავარდენი აქანდ-ჩამოქანდა, ავარდ ჩამოვარდა მხარ-მოშუშული და ელვასებრ გამოტრიალდა გახარებული და აღტაცებული!..

როცა სამოთხის ფრინველმა კიდევ ზევით შეიწია და შავარდენმაც უკან შეყოლა მოინდომა, უცებ ძგარა შესდგა დაჭიმულ თოკს, რომელიც იმას ქვევით, მიწისაკენ ეწეოდა და მოაგონებდა, რომ დაუბრუნებლად არ აეცილებოდა შიმშილ-წყურვილი მოჰკლავდა. შავარდენმა ბევრი იფართხალა, იწია, მაგრამ მიწის შვილი მიწამვე მიიზიდა, ლეშის მზიდველი ლეშზედ გამოძლა! ვიდრე შეეძლო ცქერა, უცქირა და, როცა ველარ შესძლო, იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო და იმ იმედით ეცხოვრა, რომ ის ხომ სამოთხეში იმყოფება და ათასში ერთხელ მეც მომიგონებსო. ასე, ჩემო სიცოცხლისა და ბედნიერების უკვდავების წყაროვ! ნუ გგონება, რომ შენი თავი მე გადამეგდოს, დამეიწყებოდეს. როგორც ჰაერი ვერსად წაუვა დედამიწას და მუდამ გულზედ უნდა აწვეს, ისე მე სამუდამოდ შენი სიყვარული გულზედ უნდა მესვენოს; როგორც დაუნთქმელად გემი ისე ვერსად წავა, რომ სადმე ხმელეთის ნაპირს არ მიადგეს, ისე ჩემი გული და თვალი ვერ მოჰშორდება შენს დაუვიწყარს სახეს: როგორც მზეა დაულეველი წყარო სითბოსი და სინათლისა, ისე შენი სიყვარული სიტკბოების მოუწყვეტელი წყაროა ჩემის გულისა! როგორც დროსა და სივრცეს არა აქვს დასასრული, ისე შენს სიყვარულს, და [illegible] უკვდავ-უბერებელი, ისევ უკვდავ-უბერებელი შენი სიყვარული ყოფილა! მიყვარხარ უზომოდ, უსაზღვროდ, მაგრამ ჰხედავ რა ვქნა? იმ დალოცვილმა გამჩენმა ამ სულთან ეს ყლაპები (ხორცზე უჩვენებს) რაღა მომაკრა და შენს თავს დამაშორა! თორემ რას ვამბობ?! განა არ შემიძლიან მხოლოდ მიყვარდე საუკუნოდ, მარადის ისე, როგორც უწინ მიყვარდი? განა აღარ შეიძლება აქ, შენთან, დავრჩე და განვაახლოთ ჩვენი წარსული? განა პირველი და უკანასკნელი საფუძველი სიყვარულისა, ასეთის უთქმელისა და საკვირველის რისამე, ლეშის დაუდგრომელი დრტვინვა და ჩუჩუნი უნდა იყოს?! ვაჰმე! ნუთუ სიტურფის მხოლოდ ცქერით დატკბობამ უმსხვერპლოდ ვერ უნდა დააკმაყოფილოს, ვერ უნდა გაამძღოს ადამიანის უძღები გული და თვალი?!

— რას ამბობ, რასა?! მოისმა მაღლიდგან.

— მაშ აღარ შემიძლიან ჩემს გვერდით, ჩემს ახლო გნახო? კიდევ შევეხო ჩემის ულირსის ხელით შენს უმანკო, ქალწულებრივს ტანს? ველარ უნდა დავსტკბე პირის-პირ შენის ცქერით?

— აკი გითხარი: შენ ჩემთვის მოჰკვდები, მე შენთვითსმეთქი. ჩვენს შუა ყოველივე გათავებულია. წისქვილი წყალ-გადაგდებულია. კავშირი გაწყვეტილია. აქედგან გელაპარაკები და

— მაშ რაღა ვქნა? აღარაფერი მეშველება? საწუთროში ვრჩები ამ გვარის სიყვარულით? ველარც როს ვნახავ: ეს არის, ყოველივე მორჩა?

— ყოველივე მორჩა, გათავდა, აღარაფერი ეშველება, გაძლების მეტი. მე დღესვე უნდა გადავიცვალო, მოვკვდე. იცოდე, აქამდის არც მე დამვიწყებია შენი თავი... მიზეზთა მიზეზმა დღესვე მე ჩემის თხოვნისამებრ სიყვარულად და მშვენიერებად უნდა გადამაქციოს. მე მოვკვდები და შენ ორი წარსული დაგრჩება: ერთი იქნება მოგონება ჩემის სიყვარულისა, მეორე იმგვარივე სიყვარული შენის ცოლისა. თუ შეგიძლიან სიყვარული მხოლოდ სიყვარულისათვის, აგერ შენ და აგერ ისინი. როცა გეცოდინება, რომ მე ამ სახით ქვეყანაზედ აღარ ვიმყოფები, შენც მალე დამივიწყებ. იყავ კმაყოფილი წუთის-სოფლით. ეხლა მშვიდობით? სთქვა რა ეს, ქალი გაჰქრა.

ადამისგანი დიდხანს იდგა მდუმარედ და კლდეს შესცქეროდა. როცა გამოეგნო და იფიქრა: აღარც ვინ არის, აღარც ვინ იქნება და სადამოც მოჯარებულიაო, თავდაკიდებული გამოჰყვა საშინაო გზას...

VII

ალი, მზე-ქალი სიყვარულად გადაიქცა. იმას ისე მოეწონა ასეთი ყოფა, რომ უზრუნველი, სამუდამო სიცოცხლე [illegible] ლად გარდაიქმნა, სახით სრულმა უსახო, უფორმო არსებობა მიიღო. ერთისა და იმავე დროს ის სიყვარულიც არის და მშვენიერებაც. ამიტომ ცალკე აღებული სიტურფე, ანუ სილამაზე, უსიყვარულოდ ჩვენ ვერ გვაძღობს, ვერ გვაკმაყოფილებს. მზე-ქალი ბედნიერებას სიცოცხლისას მაშინა ჰგრძნობს, როცა ყმაწვილის ქალ-ვაჟის სახეზედ ელვასებრ სიწითლედ გამოჩნდება; როცა იმათ ამის ზედ-გავლენით სხეულის ბუნებრივი მოძრაობანი აერ-დაერევათ; ან, როცა ყმაწვილს, ნორჩს ქალ-ვაჟს ერთურთის ხმა აღიტაცებს, აფრთოვანებს და აგრძნობინებს მუსიკის გამოუთქმელს სიამოვნებას! ადამისგანი ვერ მისწვდა სისრულეს, ის მხოლოდ ბუნებაში განხორციელდა.

ადამისგანზედ განსაკუთრებით იმას ამბობენ, რომ შინ დარჩა სამუდამოდ, ოჯახობას მოეკიდა; ცოლს პატივსა სცემდა, მაგრამ საფლავამდის არც მზე-ქალი დაჰვიწყებიაო. სხვანი კიდევ ერთს უდაბნოში მონასტრის ახლო საფლავს უჩვენებენ, სადაც იმათის ფიქრით, ადამისგანი ჰმარხია, ამბობენ, ვითომც შინ ველარ გაეძლოს, ბერად შემდგარიყოს, აქ მონასტერში მიცვალებულიყოს და იქვე დამარხულიყოს. მაგრამ რომელია მართალი, ღმერთმა იცის...

ბაჩანა

ტიკას ნუ გაჰკიცხავთო, და ჩვენც ამ მოვალეობას სინიდისიერად ვასრულებდით, თუმცა ხშირად ძალიან გვიჭირდებოდა ამ თანამდებობის ასრულებაო. „Kölnische Zeitung“-ს უკვირს, თ. ბისმარკმა რად მოგვაქცია იმათ რიცხვში, რომელნიც იმისაგან დამოკიდებულნი ყოფილანო. მამულის სიყვარულით გამსჭვალულნი ხშირად ვეშხრობოდით ხოლმე ბისმარკს, მაგრამ თავადმა ისიც კარგად იცის, რომ ხშირადვე იმის წინააღმდეგნიც გვიყავთო.

◆◆

# დეპეშა

7 ივლისი

ლონდონი. მეორე ბატალიონი გვარ იის გრენადერთა რაზმისა სამხედრო წესისა და რიგის დარღვევისათვის ორის წლით სამხრეთ აფრიკაში უნდა იქმნას გადაყვანილი და სამშაბათისათვის უკვე ემზადება ეს ბატალიონი გემით წასასვლელად.

სტამბოლი. იმის გამოისობით, რომ ამას წინად აქ შეტაკება მოუხდათ სომხებთან, დათხოვნილ იქმნენ აზრუმისა და ვანის გუბერნატორები.

8 ივლისი

პეტერბურგი. პარასკევს ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ზანამენსკაში ბრძანდებოდნენ ჩერნოგორიის მთავრინას სანახავად.

გამოცხადებულია საჩუქრები ვიდრე წმ. ანნის 2 ხარისხის ორდენამე, რომელიც უმოწყალესად ებოძათ შინაგან საქმეთა სამინისტროში მოსამსახურეებს.

მარსელიანი. შემდეგი ცნობები მივიღეთ კაპიტან გრამჩევსკის სამეცნიერო ექსპედიციის შესახებ. ექსპედიციას ჩინეთის მოხელეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, შუა ტიბეტში არ შეუშვეს და ახლა შეჩერებულია პოლში. ჯარებმა გზები შეუკრეს; მცხოვრებლებს ებრძანათ, მთებში გაიფანტეთო, ნურაფერს ნუ მიჰყიდით ექსპედიციასა და ნურც გზებს ასწავლითო. ჩინელები დაემუქრნენ და უთხრეს, კაშგარში დაბრუნდითო. ექსპედიცია საშინელს მდგომარეობაშია: თავისი და ნასესხი ფული მთლად დაეხარჯა წასასვლელად მომზადებაზე. მხოლოდ სურსათი და ცოტაოდენი სხვა სახყიდელი-ღა ჰქონდა. გრომბჩევსკი დიდად მოიქანცა იმ გარემოებაში, რომ ხელს არ უმართავდნენ და წინ ეღობებოდნენ ჩინელები, რომლებსაც კაშგარში მყოფი ინგლისელი აფიცრები აქეზებდნენ. ამასთანავე საქმეს დაატყო, რომ რამდენისამე თთვის შრომა ტყუილად მეკარგება და ის ნაწილი ტიბეტისა, რომელიც პევცოვმა ვერ გამოიკვლია, ისევ გამოუკვლეველი მრჩებაო, უკანასკნელს ღონეს მიჰმართა, თუმცა შეიძლება თავისი და მთელის ექსპედიციის სიცოცხლედაც დაუჯდეს ეს გამბედაობა: დანარჩენის ფულით მცხოვრებლები მოისყიდა და თანაუმგზავრით 5 მაისს, ღამით, საკმაოდ დაუმზადებელი გაემართა პოლიდგან გამოუკვლეველ უდაბნოში.

პეტერბურგის ბირჟა, 6 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | „ | 6 78 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 111½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 06 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 226¾ | — „ | — „ |
| —მეორისა | 216½ | — „ | — „ |
| —მესამისა | — „ | — „ | 213 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | 100 |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | 99¾ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | 90½ |

ხუთას-მანათიანი მოგება პირველ შინაგანის სესხის მოგების ბილეთებისა:

| №№ სერ. | №№ ბილ. | №№ სერ. | №№ ბილ. |
|---|---|---|---|
| 2083 | 1 | 12096 | 25 |
| 13445 | 1 | 1510 | 26 |
| 16946 | 1 | 6078 | 26 |
| 19075 | 1 | 9817 | 26 |
| 2929 | 2 | 11265 | 26 |
| 5926 | 2 | 11507 | 26 |
| 6108 | 2 | 11769 | 26 |
| 12812 | 2 | 17275 | 26 |
| 16890 | 2 | 6209 | 27 |
| 17038 | 2 | 14303 | 27 |
| 18421 | 2 | 9666 | 28 |
| 8562 | 3 | 12883 | 28 |
| 10042 | 3 | 132 | 29 |
| 10750 | 3 | 493 | 29 |
| 10998 | 3 | 5696 | 29 |
| 12818 | 3 | 7270 | 29 |
| 18967 | 3 | 8237 | 30 |
| 2932 | 4 | 19223 | 30 |
| 4561 | 4 | 11012 | 30 |
| 7919 | 4 | 13975 | 30 |
| 16686 | 4 | 15638 | 30 |
| 375 | 5 | 16349 | 30 |
| 926 | 5 | 16720 | 30 |
| 5469 | 5 | 209 | 31 |
| 12639 | 5 | 338 | 31 |
| 13030 | 5 | 10393 | 31 |
| 14668 | 5 | 11481 | 31 |
| 14675 | 5 | 12416 | 31 |
| 17018 | 5 | 13159 | 31 |
| 19240 | 5 | 15664 | 31 |
| 719 | 6 | 18283 | 31 |
| 1745 | 6 | 5364 | 32 |
| 5236 | 6 | 6185 | 32 |
| 5838 | 6 | 6797 | 32 |
| 7092 | 6 | 7231 | 32 |
| 7928 | 6 | 14563 | 32 |
| 8119 | 6 | 15883 | 32 |
| 8451 | 6 | 15894 | 32 |
| 11660 | 6 | 18761 | 32 |
| 11821 | 6 | 9406 | 33 |
| 12223 | 6 | 10784 | 33 |
| 12234 | 6 | 11988 | 33 |
| 13213 | 6 | 19214 | 33 |
| 3178 | 7 | 19972 | 33 |
| 9855 | 7 | 1348 | 34 |
| 15083 | 7 | 6042 | 34 |
| 17265 | 7 | 9764 | 34 |
| 1422 | 8 | 17995 | 34 |
| 3222 | 8 | 18049 | 34 |
| 8455 | 8 | 19913 | 34 |
| 12541 | 8 | 569 | 35 |
| 15653 | 8 | 4064 | 35 |
| 18717 | 8 | 4791 | 35 |
| 212 | 9 | 8357 | 35 |
| 2118 | 9 | 9128 | 35 |
| 4367 | 9 | 11368 | 35 |
| 11793 | 9 | 12080 | 35 |
| 1652 | 10 | 12329 | 35 |
| 3677 | 10 | 12689 | 35 |
| 7071 | 10 | 19628 | 35 |
| 15983 | 10 | 19809 | 35 |
| 12272 | 11 | 2202 | 36 |
| 12787 | 11 | 1166 | 37 |
| 18979 | 11 | 4413 | 37 |
| 1517 | 12 | 6544 | 37 |
| 9255 | 12 | 7256 | 37 |
| 13321 | 12 | 8412 | 37 |
| 14526 | 12 | 8891 | 37 |
| 3421 | 13 | 9369 | 37 |
| 4769 | 13 | 17569 | 37 |
| 12792 | 13 | 1973 | 38 |
| 13236 | 13 | 19108 | 38 |
| 14334 | 13 | 6737 | 38 |
| 14841 | 13 | 9076 | 38 |
| 16618 | 13 | 10864 | 38 |
| 14616 | 14 | 18364 | 38 |
| 17972 | 14 | 240 | 39 |
| 19263 | 14 | 1754 | 39 |
| 2049 | 15 | 11916 | 39 |
| 9732 | 15 | 12186 | 39 |
| 2270 | 16 | 14964 | 39 |
| 6647 | 16 | 16048 | 39 |
| 18674 | 16 | 18054 | 39 |
| 4826 | 17 | 11197 | 40 |
| 5382 | 17 | 806 | 41 |
| 8785 | 17 | 3872 | 41 |
| 11610 | 17 | 7443 | 41 |
| 12079 | 17 | 16873 | 41 |
| 12327 | 17 | 2765 | 42 |
| 14711 | 17 | 2094 | 42 |
| 18043 | 18 | 5496 | 42 |
| 9167 | 18 | 7842 | 42 |
| 15027 | 18 | 9534 | 42 |
| 18770 | 18 | 10189 | 42 |
| 10596 | 19 | 10842 | 42 |
| 10904 | 19 | 14472 | 42 |
| 13393 | 19 | 18777 | 42 |
| 13939 | 19 | 2956 | 43 |
| 14358 | 19 | 19306 | 43 |
| 1940 | 20 | 334 | 44 |
| 2518 | 20 | 4291 | 44 |
| 3543 | 20 | 10151 | 44 |
| 14722 | 20 | 12352 | 44 |
| 1806 | 21 | 14251 | 44 |
| 4967 | 21 | 17712 | 44 |
| 7286 | 21 | 19932 | 44 |
| 12823 | 21 | 4626 | 45 |
| 16248 | 21 | 6128 | 45 |
| 18124 | 21 | 5013 | 46 |
| 1187 | 22 | 6284 | 46 |
| 1375 | 22 | 12624 | 46 |
| 3880 | 22 | 13118 | 46 |
| 9215 | 22 | 4860 | 47 |
| 12667 | 22 | 12329 | 47 |
| 14252 | 22 | 18442 | 47 |
| 15473 | 22 | 5113 | 48 |
| 3909 | 23 | 8840 | 48 |
| 4485 | 23 | 10706 | 48 |
| 5529 | 23 | 18558 | 48 |
| 6884 | 23 | 19919 | 48 |
| 13963 | 23 | 13712 | 49 |
| 6004 | 24 | 14497 | 49 |
| 6296 | 24 | 5438 | 50 |
| 9232 | 24 | 5452 | 50 |
| 12789 | 24 | 6841 | 50 |
| 16248 | 24 | 7544 | 50 |
| 3671 | 25 | 7855 | 50 |
| 4161 | 25 | 13702 | 50 |
| 8843 | 25 | 15968 | 50 |
| 8949 | 25 | 15996 | 50 |

ამ მოგებულის ფულის მიღება შეიძლება განსაკუთრებით ს.-პეტერბურგს 1890 წ. 1 ოქტობრიდგან.

სია იმ ბილეთების, რომელიც ტირაჟში გამოვიდა:

№№ სერიის: 19311, 18635, 12326, 19770, 5260, 13763, 3621, 18499, 8586, 17737, 9786, 5408, 19984, 3246, 11737, 6468, 3550, 4247, 10946, 16158, 5352, 10067, 2390, 6026, 17104, 7351, 2543, 715, 2911, 11217, 213, 6038, 7673, 7301, 1332, 11097, 3667, 14125, 4784, 10779, 6475, 6907, 9598, 19939, 464, 16820, 15197, 5485, 2144, 7612, 11009, 13634, 13978, 14879, 19366, 18311, 11168, 7618, 10652, 17907, 15589, 12642, 9025, 11179, 9830, 19265, 4039 4458, 9072, 9416, 4185, 12809, 10798, 752' 6424, 16827, 5173, 19292, 1234, 2880, 14824' 10861, 18579, 12647, 19321, 8077, 5778, 3786, 11917, 5593, 941, 9754 5924, 17792,

ამ ტირაჟში გამოსულ ბილეთების მიღება შეიძლება 1890 წ. 1 ოქტომბრიდგან სახელმწიფო ბანკში და იმის განყოფილებასა და კანტორები.


# განცხადებანი

მის. ალ. ნასიძე

გადავიდა ელისაბედის ქუჩაზედ, კუკიაში, ბერიევის სახლებში, № 100. იყვანს კულანდებულად მოწაფეთ მოსამზადებლად საშუალო და საქალაქო სასწავლებლების პირველ კლასისთვის. (15—13)

ბალი ნიუიორკი

ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ გურულების ხორის გარდა, რომელმაც უკვე დაიმსახურა საზოგადოების პატივისცემა, გურიიდგანვე მოვიწვიე კიდევ სხვა რამდენიმე მომღერალი და მოცეკვავე, რომელნიც სამშაბათს, 10 ივლისს, ნიუიორკის ბაღში, ახალ გაკეთებულ ესტრადაზე, პირველად რამდენსამე საერო საგალობელს იტყიან, იცეკვავენ, ფერხულს დააბმენ და სხ. გურულის ტანისამოსით, ცნობილის მომღერლის ბ-ნ პაენიაშვილისა და მოთამაშის თოთიბაძისა ლოტბარ-წინამძღოლობით, იმ თოთიბაძისა, რომელსაც ხელმწიფე იმპერატორმა თავისის ხელით უბოძა ჯილდო.

ანონსი. ყოველ კვირა სამშაბათობითა და ხუთშაბათობით „ნიუ-იორკში“ გამართული იქნება გურული და თათრული თამაში, ფერხული, სიმღერა და სხ.

თავადი ნიჟარაძე და ამხ.

# კბილი ალარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ლირსა მამათ ბენედიქტელთ ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ვნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოო გემო ედგება.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა ლდის აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა ყიდოს.

მ თავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.

(208—27)



ტფილისის გამოფენა



ვერცხლისა.



ოქროსი.

# ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
# А. А. ТУТАЕВА

Принимаются **постройки, ремонты** и **окраски домовъ, крышъ, фасадовъ, мостовъ, тумбъ и будокъ** на шоссейныхъ дорогахъ. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія, масляныя и сухія **краски, кисти, масла** и проч. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველნაირს ლიტო-ტიპოგრაფიის და ზეთით გალესილს და მშრალს კრასკებს, ზეთს, კისტებს და სხ. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (Ремонтъ) და შეღებვას ხრეშ დაყრილ გზებზე ხიდებისას, ბუდკებისას და ბოძებისას. შემიძლიან გავგზავნო კრასკები ყველგან, მოთხოვნილობისამებრ. ქარხანა მაქვს იარმუკაზე, საეკლესიო დუქნებში.

ა. თუთაევი

24—9

ოქროსი



თამბაქოს ფაბრიკა



მედალი

# ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალი ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოო თამბაქოს თავდარიგია დაწყობილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ და სწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვასრულებ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში.

(25—3)


Д. ц. ценз. Тфлисъ, 9-го Іюля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева в С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Меликов. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე